შპს „დენდრო არქიტექტურა“
ს/კ 400266920
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE25TB7473936080100005

დენდრო არქიტექტურა
Dendro Architecture

DENDRO ARCHITECTURE LLC
I/D 400266920
Bank Code: TBCBGE22
B/I GE25TB7473936080100005

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

თარიღი	04.04.2024
ნაკვეთის მესაკუთრე	შპს „ფლექსო ლეიბელსი“ ID 204523550
მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა ქიზიყის, N1-ის მიმდებარედ
ს.კ	01.19.21.002.407

ობიექტისა და მეთოდოლოგიის შესახებ

ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, მცენარეების აღწერა ჩატარდა ტაქსაციური მეთოდით და ვიზუალურად. სახეობების დადგენა მოხდა მსოფლიო რეგიონების მონაცემთა ბაზებსა და ფლორის წყაროზე დაყრდნობით.

ობიექტზე არსებულ მცენარეთა დახასიათება

მც.#	სახეობა	ს/ ფორმა	D (1,3 მ-ზე)	D (0,1 მ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	იფანი (Fraxinus excelsior)	ხე		7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას
2	იფანი (Fraxinus excelsior)	ხე		7	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას
3	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	ხე		2	ჯანსაღი	ამონაყარი, ბეტონებში ამოსული
4	მაყვალი (Rubus fruticosus)	ბუჩქი		0.5-1.0	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

საერთო დასკვნა

მითითებულ საკადასტრო კოდის საზღვრებში, წინასწარ მომზადებულ ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი მწვანე ნარგავების სიმბოლოების მიხედვით, შეფასდა 4 ძირი ჯანსაღი მწვანე ნარგავი, მათ შორის ერთი ხილ-კენკროვანი მაყვალი.

25 სმ მდე ღეროს დიამეტრის მქონე მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია გადარგვა, შესაძლებელია ჩატარდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში (მარტის მეორე ნახევარი - აპრილი) შემოდგომით (ოქტომბერი - ნოემბრის პირველი ნახევარი), ალტერნატიულ ადგილზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით (გადასარგავი მცენარის დიამეტიდან გამომდინარე შესაბამისი სიღრმის ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ მომზადებულ ორმოში, საჭიროების შემთხვევაში მცენარის გასხვლა - ფორმირება, სარწყავი ჯამის გაკეთება, დარგვის შემდეგ მცენარის ინტენსიური მორწყვა). **25 სმ ზე მეტი ღეროს დიამეტრი მქონე მერქნიანი მცენარის გადარგვისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით უფლება მისილი პირის მიერ შედგენილი რეგლამენტის საფუძველზე გადაირგოს მწვანე ნარგავი:**

დამოუკიდებელი ექსპერტი: თამარ თოლორდავა

+995 595747744
dendro.architecture@gmail.com

ფოტოები 01.19.21.002.407

1






2



3



4





ქ.თბოლისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს

მოქ: შპს ფლექსო ლეიბელსი
მის: ქიზიყის #13ბ
ტელ: 597114968
ს/კ 204523550

თქვენი წერილის ნომერი: 18-0123137167 საპასუხოდ გატყობინებთ, რომ ჩვენ განცხადება შემოვიტანეთ ვიდრე მოვჭრიდით ხეს 2 დღით ადრე, კერძოდ 28.04.2023 განცხადების ნომერია 10/0123118863-18. ასევე განცხადებაც დავწერეთ შემდგომ დარგული ხეების მოვლა პატრონობაზე, განცხადების ნომერია 19/0123118878-18, აღნიშნული ხეები დავრგეთ და ფოტოები გადავუგზავნეთ თქვენს თანამშრომელ თორნიკეს,(მობ ნომერია 555131771), აქვე გაცნობებთ, რომ განცხადება შემოვიტანეთ მერიაშიც განცხადების ნომერია 10/0123118779-17, გატყობინებთ ასევე, რომ განცხადების შემოტანის დროს ხელთ მქონდა ხელშეკრულება ნასყიდობის შესახებ მაგრამ თქვენმა ოპერატორმა მითხრა, რომ არ იყო საჭირო და არ ჩაიბარა, (წერილთან ერთად გიგზავნით ხელშეკრულებას, გადახდის ქვითარს და დარგული ხეების ფოტოებს) და გაცნობებთ რომ 2 ძირი ხე რომლის მოჭრის ნებართვაც გვქონდა და აქედან ერთის მოჭრა მოვასწარით და მეორე 02.05.2023 ში წაიქცა, ამ წაქცეული ხის შესახებ შევატყობინეთ 112 და მერიის ცხელ ხაზზეც დავრეკეთ, შევატყობინეთ როგორც გარემოს დაცვის სამსახურიდან ბატონ თორნიკეს (მონ ნომერია 555131771) ასევე ბატონ კონსტანტინეს მეერის სამსახურის თანამშრომელს (მობ ნომერია 599218511), გიგზავნით დასკვას რომელიც მივიღეთ ჯი პი აი დან 1 ძირი ხის შესახებ რომლის მოჭრაც ვერ მოვასწარით და წაიქცა ნამდვილად ძლიერი ქარის შედეგად მოხდა აღნიშნული ხის წაქცევა.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვწეროთ
პატივისცემით
შპს ფლექსო ლეიბელსი- ს მენეჯერი
იანა ხაზალაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01230823347**
თარიღი: **23/03/2023**

ადრესატი: შპს ფლექსო ლეიბელსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204523550
მისამართი: ქიზიყის ქ. 13

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N10/01230522947-18
წერილის თარიღი:	21 თებერვალი, 2023
განმცხადებელი:	შპს ,,ფლექსო ლეიბელსი" (ს/ნ: 204523550)
მისამართი	ქ. თბილისი, ქიზიყის ქუჩა N11-ის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.21.002.407
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მწვანე ნარგავის მოჭრის შესახებ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ფლექსო ლეიბელსი" (ს/ნ: 204523550)
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება **(მიწის ნაკვეთის საშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა)**	ბრძანება № 5218698 თარიღი: 18 დეკემბერი, 2020
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა ფოტომასალა
დასკვნა: დადებითი	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ" პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება") დანართი N1-ის, 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 მუხლები; N11-58 დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" პუნქტი, ამავე მუხლის მე-4, მე-5, მე-7, მე-8 პუნქტები; N11-58 დადგენილების 31-ე, 32-ე, 34-ე, 35-ე, 38-ე მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით №28-94 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ", ,,ლ" ქვეპუნქტები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია;

სამსახურის პოზიცია

სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ ადგილზე გადამოწმების შედეგად დაადგინდა, რომ მიწის ნაკვეთზე თვითნებურად/უნებართვოდ მოჭრილია 2 ძირი მწვანე ნარგავი (2020 წლის 7 ოქტომბრის საექსპერტო დასკვნის მიხედვით - N4 კანადური ვერხვი -76.1სმ, N7 ალვის ხე -98.7სმ). მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, სამსახურმა ადმინისტრაციული საქმის მასალები შესასწავლად გადააგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში.

აქვე მოგახსენებთ, რომ ვინაიდან მიწის ნაკვეთზე არსებული კანადური ვერხვის ხეების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, გახდა ფაუტი, გადახრილი, ამორტიზირებული და ავარიული, რაც დასტურდება წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნით და სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ ადგილზე ნარგავების გადამოწმებით, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ხეების ქარქცევადობის შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგები, სამსახური თანახმაა, უსაფრთხოების მიზნით, მშენებლობის ნებართვის აღებამდე გასცეს სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი კანადური ვერხვის (2023 წლის 21 თებერვლის საექსპერტო დასკვნის მიხედვით - N1-73.2სმ, N2-71.5სმ) მოჭრის ნებართვა.

აღნიშნული ნებართვა ძალაში შევა მას შემდეგ, როდესაც წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება. ასევე მოჭრის დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე, ინფორმაციული წერილით უნდა აცნობოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან **(გარდა, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ნიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი.

ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, ნიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი).

დასარგავი ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი უნდა იყოს.

აღნიშნული პირობების დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, მწვანე ნარგავების მოჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

აქვე მოგახსენებთ, რომ 2 ძირი ხმობადი, ფაუტი, ავარიული მოსაჭრელი ხის სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან მცენარეთა განვითარების პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, იმავე ტერიტორიაზე აგროტექნიკური ნორმების დაცვით და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით, ნებართვის მიმღებს ევალება საკომპენსაციო რგვის განხორციელება და დარგული მწვანე ნარგავების შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა.

<u>ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.</u>

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ, ნებართვის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს დარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, საკომპენსაციო რგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაეკისრება განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული

მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01203032098**
თარიღი: **29/10/2020**
პინი: **7916**

მისამართი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური") განიხილა თქვენი 2020 წლის 21 ოქტომბრის #60-01202953120 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ დ. კობახიძის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა, მცენარეების ფიტოსანიტარული ლაბორატორიული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი, მცენარეების ამსახველი ფოტომასალა, კორექტირებული ტოპო. გეგმა, განმარტებითი ბარათი), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე არჩილ ლომთათიძის განაცხადის (AR1783015) საფუძველზე, მპს ,,ფლექსო ლეიბელსის" (საიდენტიფიკაციო N204523550) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა, N11-ის მიმდებარედ; ს.კ.: 01.19.21.002.407)(ს-1) III კლასის ობიექტის (საწყობი) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის თანახმად, ტერიტორიაზე აღწერილია 9 ძირი მცენარე.

ტოპო. გეგმის მეშვეობით დავადგინეთ განმცხადებლის მოთხოვნა მწვანე ნარგავებთან მიმართებაში.

,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი") მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება") 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე მდგომი ხმობადი 3 ძირი კანადური ვერხვი (N2-78სმ, N3-82.8სმ, N4-76.1სმ), ასევე, 1 ძირი ალვის ხე N7 -98.7სმ, ლაბორატორიული კვლევის თანახმად დაავადებულია. ხოლო საექსპერტო დასკვნის მიხედვით განკურნებას არ ექვემდებარებიან, აქედან გამომდინარე, **სამსახური თანახმაა** გასცეს აღნიშნული ხმობადი, დაავადებული ხეების მოჭრის ნებართვა, **მას შემდეგ**, როდესაც განმცხადებელი, დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას (ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება) და მშენებლობის ნებართვას.**

დასარგავი მცენარის სახეობა **(მარადმწვანე კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი სახეობის ხეების გარდა)** უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული სეების სიიდან.

დადგენილების 26[1]-ე მუხლის საფუძველზე, მოჭრილი მწვანე ნარგავების ნაცვლად დაინტერესებულ პირს ევალება საკომპენსაციო რგვის განხორციელება, კერძოდ, 1 ძირი, ფოთლოვანი ან/და წიწვოვანი ნერგის დარგვა **იმავე ტერიტორიაზე** (ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა, N11-ის მიმდებარედ; ს.კ.: 01.19.21.002.407) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში. წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ **20**

სანტიმეტრი.

გაცნობებთ, რომ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და დადგენილების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას/გადარგვას. აქედან გამომდინარე და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი 5 ძირი ხილ-კენკროვანი (N1 ლეღვი, N5 ლეღვი, N6 ლეღვი, N8 ლეღვი, N9 ჭერამი) მცენარის მოჭრა/გადარგვა, **უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.**

ამდენად, სამსახური გასცემს დადებით პოზიციას, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ, ზემოაღნიშნული პირობის შესაბამისად.

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც ფიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, მარადმწვანე კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა)**.

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი სეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ჭარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასამენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე ფიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, ფიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8

თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

დანართი: 23 გვერდი;

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
მწვანე ნარგავების საექსპერტო მომსახურეობაზე

ქ. თბილისი

04.10.2020 წ.

ჩვენ, ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს „სილვა გრუპი“ (400234260) მისი დირექტორის დავით კობახიძის სახით შემდგომში ***„შემსრულებელი“*** და მეორეს მხრივ შპს ,,ფლეშო ლეიბელსი'' (204523550) მისი დირექტორის რაულ ტყეშელაშვილის სახით შემდგომში ***„დამკვეთი“*** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ***„შემსრულებელი“*** მოვალეა უზრუნველყოს ***„დამკვეთის“*** მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე **ს/კ:01.19.21.002.407** არსებული მწვანე ნარგავების ექსპერტიზა საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის № 17–55 დადგენილების «ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებათა დაცვით,

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 750 ლარს (დღგ-ს ჩათვლით)
2.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

3.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია

1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
2. დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს, თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს განხორციელებას.
3. გასწიოს მომსახურება მაღალი ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.
4. გადასცეს **„დამკვეთს“** საექსპერტო დასკვნა შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული მიღება-ჩაბარებისთანავე.

4.1. დამკვეთი ვალდებულია:

1. არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.
2. გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;
3. დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ინფორმაცია, მასალა, ნივთები, რაც აუცილებელია მომსახურების სათანადო დროში და ხარისხით შესრულებისათვის.

5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგენისას მხარეთა ვადებულებები და შესრულების ვადები გადაიწევა იმ ვადით, რამდენ ხანსაც იარსებებს ეს ხელისშემშლელი პირობები.

6. სხვადასხვა პირობები

1. სამუშაოს შესრულების შემდგომ დგება შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
2. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ გამოცხადდა მიღება-ჩაბარების აქტის დასადასტურებლად და საექსპერტო დასკვნის მისაღებად, ჩარიცხული თანხა ავტომატურად ჩაითვლება შესრულებულ სამუშაოდ და არ დაუბრუნდება დამკვეთს.
3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით და ხელმოწერილია ორივე მხრის მიერ.
4. ამ ხელშეკულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსრულებელი“	*„დამკვეთი“*
შ.პ.ს „სილვა გრუპი“ საიდენტიფიკაციო კოდი 400234260 ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ UGEBGE22 GE73VT9800000025913608 იურიდ. მის: ქ. თბილისი, სიხარულიძის ქ. N 11 ფაქტ მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7 სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი N 412 ბ ტელ: (+995) 32 2 06 03 03 (+995) 551 60 62 26 ელ-ფოსტა: davitkob@gmail.com დავით კობახიძე დირექტორი	შპს „ფლექსო ლეიბელსი“ საიდენტიფიკაციო კოდი 204523550 საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ჯანაშიას ქ., №4 რაულ ტყეშელაშვილი დირექტორი

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი 08.10.2020წ.

ჩვენ, ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს „სილვა გრუპი“ (400234260) მისი დირექტორის დავით კობახიძის სახით შემდგომში **„შემსრულებელი“** და მეორეს მხრივ შპს ,,ფლექსო ლეიბელსი'' (204523550) მისი დირექტორის რაულ ტყეშელაშვილის სახით შემდგომში **„დამკვეთი“** ვადასტურებთ, რომ *„შემსრულებელმა“* შეასრულა ჩვენს შორის გაფორმებული **04.10.2020წ.** ხელშეკრულებით (ღირებულებით 750 ლარი დღგ-ს ჩათვლით) აღებული ვალდებულებები და მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გააჩნიათ.

„შემსრულებელი“	*„დამკვეთი“*
შ.პ.ს „სილვა გრუპი“ საიდენტიფიკაციო კოდი 400234260 ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ UGEBGE22 GE73VT9800000025913608 იურიდ. მის: ქ. თბილისი, სიხარულიძის ქ. N 11 ფაქტ მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7 სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი N 412 ბ ტელ: (+995) 32 2 06 03 03 (+995) 551 60 62 26 ფოსტა: davitkob@gmail.com დავით კობახიძე დირექტორი	შპს ,,ფლექსო ლეიბელსი'' საიდენტიფიკაციო კოდი 204523550 საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ჯანაშიას ქ., №4 რაულ ტყეშელაშვილი დირექტორი

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე

მწვანე ნარგავების შესწავლის თარიღი:	02. 10. 2020 წ.
დასკვნის გაცემის თარიღი:	07. 10. 2020 წ.
დასკვნის რეგისტრაციის ნომერი:	N 001/262-3

ფართობი (კვმ)	621
საკადასტრო კოდი N	01.19.21.002.407
მისამართი:	ქალაქი თბილისი , ჭუჩა ქიზიყი , N11-ის მიმდებარედ
მესაკუთრე	შპს "ფლექსო ლეიბელსი" , ID ნომერი:204523550
საფუძველი:	საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილება საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბრძანება ხილკენკროვანი ხემცენარეების ნუსხის დამტკიცების და მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილ პირად დავით კობახიძის რეგისტრაციის თაობაზე (ბრძ. N 5-31 02. 06. 2017წ)

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა	9
შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა	9
კვლევის ჩატარების მეთოდი	ვიზუალური

ხმობადი და დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა აღნიშნულია (ხმობადი ან დაავადებული იხ. ცხრილი N 1) და დასკვნას დანართი N 1-ის სახით ერთვის ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი.

ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა იწერება ჯანსაღი და გრაფაში შენიშვნა აღნიშნულია ექსპერტის რეკომენდაცია ხე-მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე. იხ. ცხრილი N 1

მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა თან ერთვის დანართი N 2 (CD დისკზე).

დასკვნას ასევე თან ერთვის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, იმ შემთხვევებისთვის როცა მეპატრონეს სამშენებლო პროექტის განსახორციელებლად ხელს უშლის მწვანე ნარგავი.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	ჯგუფები 4.1სმ-დან-8სმ-მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ლეღვი (Ficus carica)	14,3	5,4		3,5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ორკაპი
2	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	78,0	70,1		17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
3	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	82,8	79,6		17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
4	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	76,1	68,5		17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
5	ლეღვი (Ficus carica)			7	4	ჯანსაღი	ჯგუფში 7 ერთეული, ხილ-კენკროვანი
6	ლეღვი (Ficus carica)			5	4,5	ჯანსაღი	ჯგუფში 5 ერთეული, ხილ-კენკროვანი
7	ალვის ხე (Populus italica)	98,7	95,5		18	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
8	ლეღვი (Ficus carica)	47,8	25,5		7,5	ჯანსაღი	ორკაპი, ხილ-კენკროვანი
9	ჭერამი (Prunus armeniaca)	11,8	7,0		4,5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

ტერიტორიაზე განთავსებული 9 ნომერი ხე-მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით

ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 2 ნომერი, მათ შორის ხილ-კენკროვანი სახეობის - ლეღვი.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

კერძოდ:
N 5 ჯგუფში 7 ერთეული ლელვი (Ficus carica);
N 6 ჯგუფში 5 ერთეული ლელვი (Ficus carica).

ერთეულად მდგომი მცენარეებია 7 ძირი ხე, კერძოდ:

1. *დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე* 4 ძირი:
   - 3 ძირი (N 2, N 3, N 4) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
   - 1 ძირი (N 7) ალვის ხე - Populus italica.

2. *ხილ-კენკროვანი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 3 ძირი:

აქედან 12სმ-ზე ნაკლები დიამეტრისაა 1 ძირი:

- 1 ძირი (N 9) ჭერამი - Prunus armeniaca.

12სმ-ზე მეტი დიამეტრისაა 2 ძირი:

- 2 ძირი (N 1, N 8) ლელვი - Ficus carica.

იხ. ცხრილი N 1.

აღრიცხული 9 ნომერი ხე-მცენარიდან:

1. *ხმობადია* 4 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ :
   - 3 ძირი (N 2, N 3, N 4) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
   - 1 ძირი (N 7) ალვის ხე - Populus italica.

   იხ. ლაბორატორიული დასკვნა. (დანართი N 1)

2. *ჯანსაღია* 5 ნომერი ხე–მცენარე, მათ შორის,
   ჯგუფად მდგომი ხე-მცენარე 2 ნომერი:
   - 2 ნომერი (N 5, N 6) ლელვი - Ficus carica.

   ერთეულად მდგომი ხე-მცენარე 3 ძირი:
   - 2 ძირი (N 1, N 8) ლელვი - Ficus carica;
   - 1 ძირი (N 9) ჭერამი - Prunus armeniaca.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ
შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი

ექსპერტი
დავით კობახიძე

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნასთან ერთად გაგაცნობთ მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას

I განცხადება

მშენებლობის მიზნით (იგულისხმება შემთხვევა, როცა მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2018 წლის 22 თებერვლამდე) კერძო საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვა

ნომენკლატურა:
ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვა - სამშენებლო მოედანზე
განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნის ტექსტს (სადაც, დაკონკრეტებული უნდა იყოს თუ რა მიზნით სურს განმცხადებელს მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა);

- უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (მათ შორის ფოტო-მასალა);
(მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დოკუმენტი, როგორც წესი მოიცავს ფოტო-მასალასაც. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ფოტოები არ ახლავს ხარისხობრივი შეფასების დოკუმენტს და აუცილებელია, რომ დაინტერესებულმა პირმა თავად დაურთოს განცხადებას. ფოტო მასალა თუ დისკის სახით იქნება წარმოდგენილი, შესაძლებელია მისი ამ სახით ჩაბარებაც);

- განმცხადებელმა უნდა წარმოადგენინოს სათანადო ტოპო. გეგმა, რომელზეც დატანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:
  - საპროექტო შენობის განთავსების სქემა;
  - მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები ნუმერაციის მიხედვით;
  - საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნა;

შენიშვნა:
დაინტერესებული პირი - არის მესაკუთრე, რომელსაც შეიძლება ყავდეს წარმომადგენელი/მინდობილი პირი. ამ შემთხვევაში, პირმა ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარმოადგინოს მინდობილობა.

II განცხადება

მშენებლობის მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვა (იგულისხმება შემთხვევა, როცა მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადარგვის შესახებ გაცემულია ადმინისტრაციული დაპირება)

ნომენკლატურა:
მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა - სამშენებლო მოედანზე
განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნის ტექსტს;
- მშენებლობის ნებართვას;
- ადმინისტრაციული დაპირების ფარგლებში მოთხოვნილ დოკუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა:
ადმინისტრაციული დაპირება სამსახურის მიერ გაიცემა 2018 წლის 22 თებერვლიდან შემდეგ.
როგორც ცნობილია, მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად დაინტერესებული პირი მიმართავს არქიტექტურის სამსახურს და სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად tas.ge-ზე ტვირთავს:

- უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (მათ შორის ფოტო-მასალა);
- სათანადო ტოპო გეგმას (გეგმაში დატანილია საპროექტო შენობის განთავსების სქემა, მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნა).

არქიტექტურის სამსახური გამწვანების სამსახურს, პოზიციის დაფიქსირების მიზნით, უგზავნის დაინტერესებული პირის განაცხადს შესაბამისი დანართებით, რის საფუძველზეც გარემოს დაცვის სამსახური აფიქსირებს თავის პოზიციას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით. ე. წ ადმინისტრაციულ დაპირებაში, გარემოს დაცვის სამსახურის მიერ, გაწერილია ყველა ის პირობა, რაც უნდა დააკმაყოფილოს დაინტერესებულმა პირმა არქიტექტურის სამსახურიდან მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ ხე-მცენარეების საკომპენსაციო ჭრასა, თუ გადარგვის პროცედურებთან დაკავშირებით.

III განცხადება

თუ განმცხადებელს მშენებლობის მიზნით სურს მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა და ჯერ არ აქვს მშენებლობის ნებართვა აღებული, ნარგავების მოჭრის ან/და გადარგვის თაობაზე განცხადება (რომელიც მოიცავს I პუნქტში გათვალისწინებულ დოკუმენტაციას) მან უნდა შეიტანოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო ყველა სხვა დანარჩენ დოკუმენტებთან ერთად.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

დანართი N 1

საექსპერტო ლაბორატორიული დასკვნა

მწვანე ნარგავების დაავადებების კვლევაზე

დასკვნის ნომერი: N 07/083-ლ
დასკვნის გაცემის თარიღი: 07.20.2020 წ
კვლევის ჩატარების თარიღი: 02.10.2020 წ
კვლევის ჩატარების მეთოდი: ლაბორატორიული.
მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა ჭიზიყი , N11-ის მიმდებარედ
საკადასტრო კოდი: N 01.19.21.002.407
მესაკუთრე: შპს "ფლექსო ლეიბელსი" , ID ნომერი:204523550
ლაბორატორიის მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, "ოფისი" მე–2 სართული) , შ.პ.ს „ბიოაგრო–მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი".

ცხრილი N 1

რიგ N	ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	78,0	70,1	17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება,
2	3	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	82,8	79,6	17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება,
3	4	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	76,1	68,5	17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება,
4	7	ალვის ხე (Populus italica)	98,7	95,5	18	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება,

4 ძირ ხე-მცენარეზე ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა, კერძოდ:

0101, საქართველო, თბილისი, ვ. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

- 3 ძირი (N 2, N 3, N 4) **კანადური ვერხვი - Populus deltoides;**
- 1 ძირი (N 7) **ალვის ხე - Populus italica.**

ადგილზე შეგროვდა საკვლევი ფაქტობრივი მასალა (ქერქის ანათლები, ხმელი ტოტები, ნაღრღნი, აღებული იქნა ნიმუში პრესლერის ბურღით), რომლებიც დალუქული იქნა სპეციალურ კონტეინერში, გაუკეთდა წარწერა საკადასტრო კოდის და ხის ნომრის მითითებით და გასხნილი იქნა შ.პ.ს „ბიოაგრო–მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“-ს ლაბორატორიაში კვლევის ჩასატარებლად. (მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, ყოფილი თვალჭრელიძის ქუჩა ნაკვეთი 06/012, ”ოფისი“ მე–2 სართული). კვლევის დამთავრების შემდგომ მოხდა შესწავლილი ნიმუშების ხელახალი დალუქვა კონტეინერში, რომელიც ინახება შპს სილვა გრუპის ოფისში. (მისამართი: ქ.თბილისი ცოტნე დადიანის ქუჩა N 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, ოფისი 412 ბ).

დაავადებული ეგზემპლარის კვლევის შედეგი ეფუძნება ფაქტობრივი მასალის მიკროსკოპული ანალიზისა და იდენტიფიკაციის შედეგებს. მიკრო და მაკრომიცეტი სოკოები იდენტიფიცირებული იქნა მათი ნაყოფიანობის მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორფოლოგიური) ნიშნების აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა მეთოდურ წყაროებზე დაყრდნობით (Хохряков, 1969, Метод,ы, 1974, Hawksworth, 1974). მიკროსკოპირებისათვის საჭირო პრეპარატები (ანათლები) მომზადდა სამართებლით, მოთავსდა ონკანის წყალში და გაისინჯა სინათლის მიკროსკოპით. სოკოს სახეობის იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული იქნა კლასიკური და თანამედროვე სარკვევები.

აღებული ნიმუშების და მიკრო და მაკრომიცეტი სოკოს მომწიფებული ნაყოფიანობის მქონე ნიმუშების იდენტიფიკაცია მოხდა მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლენილია რიგი მავნებლები და დაავადებები, რომელიც შესწავლილი და აღწერილია საექსპერტო დასკვნაში.

ლაბორატორიულ კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იქნა მავნებლების და სოკოების იდენტიფიკაციის კლასიკური მეთოდი, რომელიც ეფუძნება გარეგნული და სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორ–ფოლოგიური) ნიშნების აღწერას (Shoemaker, 1964).

ლაბორატორიული კვლევის შედეგები

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

N 2 კანადური ვერხვი - Populus deltoides მდგომარეობა - ხმობადი. მთავარ ღეროზე დაფიქსირდა მავნებლის - ქერქიჭამიის და ვერხვის პატარა ხარაბუზას - Saperda populnea სასვლელები. პრესლერის ბურღით ამოღებული ნიმუში იფშვნებოდა, რომელიც შეფერილი იყო შავი მონაცისფრო და ღია ყავისფრად. იდენტიფიკაციის შედეგად გამოვლინდა აბედა სოკოს - *Fomes fomentarius* სპორები, რომელიც ღრმად იჭრება მერქანში დაზიანებული ადგილებიდან, ვრცელდება მერქანში და იწვევს გულგულის სიდამპლეს. ტოტების უმეტესობა ხმელია, ფუტურო და მტვრევადი. ხმელ ტოტებზე აღინიშნა მიკრომიცეტი სოკოს - *Cryptodiaporthe populea* ღია ყავისფერი, ჩაზნექილი მეჭეჭების ფორმის ნაყოფსხეულები და ქერქის სკდომა. რაც იწვევს ტოტების ხმობას.

დასკვნა: შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი და გადაბერებული. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას მსგავსი სიმპტომები დამღუპველია. ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება.

N 3 კანადური ვერხვი - Populus deltoides მდგომარეობა - ხმობადი. ფესვის ყელთან დაფიქსირდა ღია ფუღურო, რომელიც ღრმად ჩადის ფესვებში და საკმაოდ დაზიანებულია მავნებელი - ქერქიჭამიით და მიკრომიცეტი სოკოებით. გარდა ამისა მთავარ ღეროზე ფიქსირდება მექანიკური დაზიანებები, სადაც აღინიშნება პარაზიტი მაკრომიცეტი აბედა სოკო - *Fomes fomentarius* ნაყოფსხეულები, რომელიც იჭრება მექანიკურად დაზიანებული ადგილიდან, მიცელიუმი ვრცელდება მერქანში და იწვევს გულგულის დაშლას და სიდამპლეს. ქვედა ტოტები ხმელია და ჩამოტეხილი. შეიმჩნევა მიკრომიცეტი სოკოს - *Cryptodiaporthe populea* - ღია ყავისფერი, ჩაზნექილი მეჭეჭების ფორმის ნაყოფსხეულები და ქერქის სკდომა. რაც იწვევს ტოტების ხმობას.

დასკვნა: შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი და გადაბერებული. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას მავნებლებისგან მიყენებულ დაზიანებების ადგილებში. მსგავსი სიმპტომები დამღუპველია. ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება

N 4 კანადური ვერხვი - Populus deltoides მდგომარეობა - ხმობადი. მთავარ ღეროზე დაფიქსირდა მავნებლის - ქერქიჭამიის და ვერხვის პატარა ხარაბუზას - Saperda populnea სასვლელები. პრესლერის ბურღით ამოღებული ნიმუში იფშვნებოდა, რომელიც შეფერილი იყო შავი მონაცისფროდ. იდენტიფიკაციის შედეგად გამოვლინდა აბედა სოკოს - *Fomes fomentarius*

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი B-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

სპორები, რომელიც ღრმად იჭრება მერქანში დაზიანებული ადგილებიდან, ვრცელდება მერქანში და იწვევს გულგულის სიდამპლეს. ტოტების უმეტესობა ხმელია, ფუტურო და მტვრევადი. ხმელ ტოტებზე აღინიშნა მიკრომიცეტი სოკოს - *Cryptodiaporthe populea* ღია ყავისფერი, ჩაზნექილი მეჭეჭების ფორმის ნაყოფსხეულები და ქერქის სკდომა. რაც იწვევს ტოტების ხმობას.

დასკვნა: შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი და გადაბერებული. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას მსგავსი სიმპტომები დამღუპველია. ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება.

N 7 ალვის ხე - Populus italica მდგომარეობა - ხმობადი. მთავარ ღეროზე ფესვის ყელი საკმაოდ დაზიანებულია. აღინიშნება მავნებლის - ქერქიჭამიას ოვალური ფორმის სასვლელები და ნაღრღნი, რომელიც გრძელდება ვერტიკალური მიმართულებით შტამბში და დაინფიცირებულია სიდამპლის გამომწვევი პათოგენი მიკრომიცეტებით - Heterobasidion -ის გვარიდან. ტოტების უმრავლესობა ხმელია და ფუტურო. ჩამოტეხილი ტოტების ადგილებში აღინიშნა პარაზიტი მაკრომიცეტი სოკო - ფელინუსი - (Phellinus), რომელიც იჭრება მექანიკურად დაზიანებული ადგილიდან, იწვევს გულგულის დაშლას და სიდამპლეს. ძირითადად გვხვდება ხნიერ ხეებზე. ტოტების უმრავლესობა ხმელია, მტვრევადი და ჩამოტეხილი.

დასკვნა: შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი და გადაბერებული. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას მავნებლებისგან მიყენებულ დაზიანებების ადგილებში. მსგავსი სიმპტომები დამღუპველია. ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება

შემსრულებელი: *დავით კობახიძე*
ექსპერტი

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

ხე-მცენარეების ხარისხობრივი შეფასების ამსახველი (ფერადი) ფოტომასალა.

საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.407

მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა ჭიზიყი , N11-ის მიმდებარედ

by LLC "Silva Group"




















5




6

















კ-3 კოეფიციენტის ათვისების დენდროლოგიური პროექტი

პროექტით გათვალისწინებული გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.1

საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.407
მიწის ნაკვეთის ფართი: 621.0 მ^2
მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ქიზიყი, №11-ის მიმდებარედ
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
მესაკუთრე: შპს "ფლექსო ლეიბელსი" (204523550)

კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი კ-3=0.1=62.1 მ^2



არსებული ტოპოგეგმა



არსებული ხე მცენარეების მოჭრა-გადარგვის უწყისი

– მოჭრა

– გადარგვა

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	ჯგუფები 4.1სმ-დან-8სმ-მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ლელვი (Ficus carica)	14,3	5,4		3,5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ორკაპი
2	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	78,0	70,1		17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, ინ.ლაბორატორიული დასკვნა
3	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	82,8	79,6		17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, ინ.ლაბორატორიული დასკვნა
4	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	76,1	68,5		17	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, ინ.ლაბორატორიული დასკვნა
5	ლელვი (Ficus carica)			7	4	ჯანსაღი	ჯგუფში 7 ერთეული, ხილ-კენკროვანი
6	ლელვი (Ficus carica)			5	4,5	ჯანსაღი	ჯგუფში 5 ერთეული, ხილ-კენკროვანი
7	ალვის ხე (Populus italica)	98,7	95,5		18	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, ინ.ლაბორატორიული დასკვნა
8	ლელვი (Ficus carica)	47,8	25,5		7,5	ჯანსაღი	ორკაპი, ხილ-კენკროვანი
9	ჭერამი (Prunus armeniaca)	11,8	7,0		4,5	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი

საპროექტო გენგეგმა



დასარგავი ხე მცენარის სახეობა: ჯიშები შერჩეულია
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი
პრიორიტეტული ხეების სიიდან

კავკასიური ცაცხვი
(Tilia begoniifolia)



ჰიმალაის კედარი
(Cedrus deodora)



დასარგავი ხე მცენარის სახეობა 4 ძირი:
(საკომპენსაციო რგვა)

2 ძირი კავკასიური ცაცხვი **(Tilia begoniifolia)**
სიმაღლე 3.5 მ.-დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი 5-10 წლის

2 ძირი ჰიმალაის კედარი **(Cedrus deodora)**
სიმაღლე 3.0 მ.-დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი 5-10 წლის

ხმობადი 4 ძირი ხე-მცენარის ნაცვლად, კერძოდ :
- 3 ძირი (N 2, N 3, N 4) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
- 1 ძირი (N 7) ალვის ხე - Populus italica.

გადასარგავი ხე მცენარის სახეობა 3 ძირი:

ხილ-კენკროვანი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე 3 ძირი:

- 1 ძირი (N 9) ჭერამი - Prunus armeniaca.

12სმ-ზე მეტი დიამეტრისაა 2 ძირი:

- 2 ძირი (N 1, N 6) ლეღვი - Ficus carica.

დენდროლოგიური პროექტი
საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "ფლექსო ლეიბელსი" (204523550)

საპროექტო ტერიტორია:

საკადასტრო კოდი: 01.19.21.002.407

მიწის ნაკვეთის ფართი: 621.0 მ^2

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ძიზიყი, №11-ის მიმდებარედ

ნებართვის გამცემი ორგანო:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

პროექტით გათვალისწინებული
გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.1=62.1 მ^2

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი- 2020 წ.
დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი- 2023 წ.

დასარგავი ხე მცენარის სახეობა 4 ძირი:
(საკომპენსაციო რგვა)

2 ძირი კავკასიური ცაცხვი **(Tilia begoniifolia)**
სიმაღლე 3.5 მ.-დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი 5-10 წლის

2 ძირი ჰიმალაის კედარი **(Cedrus deodora)**
სიმაღლე 3.0 მ.-დან გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი 5-10 წლის

გაშენებულ ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე
პასუხისმგებელი პირი: შპს "ფლექსო ლეიბელსი" (204523550)

გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი



